# ბორჯომი

3 ნოემბერი
ხუთშაბათი
2022 წელი
№45 (9255)
ფასი 40 თეთრი

რაიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი * გამოდის 1931 წლის 20 ივლისიდან


**მასშტაბური ინფრასტრუქტურული პროექტები ბორჯომში**

## ბორჯომ-ბაკურიანის დღევანდელობა და მომავალი

**საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბატონი ირაკლი ღარიბაშვილის თაოსნობით დაწყებული, რეგიონების განვითარების პროგრამის პრაქტიკულმა განხორციელებამ ნამდვილად მასშტაბური ხასიათი მიიღო სრულიად საქართველოში და მათ შორის ბორჯომის მუნიციპალიტეტში. ამის მკაფიო მაგალითია განვლილი ორი წლის მანძილზე შესრულებული ინფრასტრუქტურული პროექტები, რომლებიც ბორჯომ-ბაკურიანის საკურორტო და ტურისტული ზონის განვითარება-სრულყოფის მიზნით ხორციელდება.**

**ბორჯომ-ბაკურიანის რეგიონი საქართველოში და მის ფარგლებს გარეთაც საკმაოდ პოპულარული საკურორტო და ტურისტული ზონაა და მისი კეთილმოწყობა-განახლება და ეკონომიკური აღმავლობა ბორჯომის მუნიციპალიტეტისათვის უპირველესი საზრუნავია.**
**საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბატონი ირაკლი ღარიბაშვილის თაოსნობით დაწყებული, რეგიონების განვითარების პროგრამის პრაქტიკულმა განხორციელებამ ნამდვილად მასშტაბური ხასიათი მიიღო სრულიად საქართველოში და მათ შორის ბორჯომის მუნიციპალიტეტში. ამის მკაფიო მაგალითია განვლილი ორი წლის მანძილზე შესრულებული ინფრასტრუქტურული პროექტები, რომლებიც ბორჯომ-ბაკურიანის საკურორტო და ტურისტული ზონის განვითარება-სრულყოფის მიზნით ხორციელდება.**

**ბორჯომ-ბაკურიანის რეგიონი საქართველოში და მის ფარგლებს გარეთაც საკმაოდ პოპულარული საკურორტო და ტურისტული ზონაა და მისი კეთილმოწყობა-განახლება და ეკონომიკური აღმავლობა ბორჯომის მუნიციპალიტეტისათვის უპირველესი საზრუნავია.**

**ბორჯომის** მუნიციპალიტეტის მერი **ოთარ არბოლიშვილი** და საკრებულოს თავმჯდომარე **დავით ზაალიშვილი** დიდი ენთუზიაზმით და მონდომებით იღწვიან მუნიციპალიტეტში შემავალი დაბა-სოფლების ინფრასტრუქტურული პროექტების ხორცშესხმისათვის, მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაჯანსაღებისათვის.

მათი შრომის შედეგებს ამ ინტერვიუს გაეცნობით.

მაშ, ასე. საუბარს ვიწყებთ ბორჯომის მერთან ბატონ **ოთარ არბოლიშვილთან**.



**- ბატონო ოთარ, რას ნიშნავს იყოთ ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერი?**

- ბორჯომი ყოველი ჩვენგანისათვის მშობლიური ქალაქია და სწორედ ჩვენი ძალისხმევით უნდა შევძლოთ, ის გავხადოთ კიდევ უფრო განვითარებული და უფრო მიმზიდველი კურორტი, როგორც ადგილობრივებისთვის, ასევე აქ ჩამოსული სტუმრებისთვის.

გულწრფელად ვამბობ, ამ ქალაქის მსახურებით არ დავიღლები. ჩვენი გუნდი სწორედ ბორჯომელთა მხარდაჭერით და გვერდში დგომით აკეთებს ქალაქისთვის სასიკეთო საქმეებს. ამიტომ დღენიადაგ ვზრუნავთ ბორჯომისა და ბორჯომელების წინაშე არსებული გამოწვევები ღირსეულად გადავჭრათ.

ყველაფერს გავაკეთებ იმისათვის, რომ ბორჯომსა და ბორჯომელებისადმი მიცემული სიტყვა პირნათლად შევასრულო.

**- ბატონო დავით როგორ შეაფასებთ ბორჯომის საკრებულოს თავმჯდომარის ფუნქციას?**

- ჩემი უპირველესი მოვალეობაა, შევასრულო ამომრჩეველთა განაწესი, ვიზრუნო ყველა იმ დაპირების შესასრულებლად, რაც ჩვენს მოსახლეობას შევპირდი დეპუტატებთან ერთად განვახორციელო ყველა ის პროექტი, რომელიც მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტის განვითარებისათვის და მოსახლეობის ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესებისათვის. ეს ყოველივე უდიდესი პასუხისმგებლობაა. ამიტომ მჭიდრო კონტაქტი მაქვს ბორჯომის მუნიციპალიტეტის მოსახლეობასთან და ვზრუნავთ მათი ყოველდღიური სოციალური პრობლემების არამარტო გათავისებისთვის, არამედ მათი გადაწყვეტისათვის.

**- ბატონო ოთარ! როგორ დაახასიათებთ ბორჯომის მუნიციპალიტეტში მიმდინარე პროცესებს.**

- მიმდინარე წელს ბორჯომში გამორჩეული ტურისტული სეზონი გვაქონდა. ბორჯომის მუნიციპალიტეტმა უპრეცედენტო რაოდენობის ვიზიტორს უმასპინძლა, რაც პირდაპირ კავშირშია - მოსახლეობის კეთილდღეობასთან. როგორც ადგილობრივი მოსახლეობისათვის ასევე ვიზიტორებისათვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტს წარმოადგენს მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა, რაც უფრო მეტად მიმზიდველს და საინტერესოს გახდის ჩვენს მუნიციპალიტეტს. ამ მიზნისათვის დაგეგმილია არაერთი ინფრასტრუქტურული პროექტის განხორციელება. სამშენებლო სამუშაოები აქტიურ ფაზაშია.

**– ბატონო დავით, რა ღონისძიებები განახორციელეთ ამომრჩეველთა განაწესის შესასრულებლად?**

განვლილ 2021 წელს და მიმდინარე წლის 8 თვეში საკრებულოს 22 სხდომა ჩატარდა და 123 საკითხი განვიხილეთ, რომელიც ძირითადად ეხებოდა ამომრჩეველთა განაწესების შესრულებას. მივიღეთ 48 გადაწყვეტილება და 75 განკარგულება. ახლა ვზრუნავთ მათი პრაქტიკული რეალიზაციისათვის.



დახმარება აღმოვუჩინეთ სოციალურად დაუცველ მოსახლეობას, მათ შორის მრავალშვილიან ოჯახებს, ახალდაქორწინებულებს, დედ-მამით დაობლებულ ბავშვებს, შშმ პირებს, წარმატებულ სტუდენტებს და ა.შ.

**- ბატონო ოთარ, რამდენია მუნიციპალიტეტის მიმდინარე წლის ბიუჯეტი და ძირითადად რას ხმარდება აღნიშნული თანხა?**

- მიმდინარე წლის ბიუჯეტი 41 267 131 ლარს შეადგენს, დაგეგმილი ბიუჯეტის თითქმის ნახევარი 18 423 508 ლარი გათვალისწინებულია ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად. ინფრასტრუქტურული პროექტების ძირითადი პრიორიტეტებია: საგზაო ინფრასტრუქტურა, სოფლად სასმელი წყლის რეაბილიტაცია, ცენტრალურ ქუჩაზე არსებული მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსების ფასადების და სახურავების რეაბილიტაცია, სარეკრეაციო სივრცეების მოწყობა-რეაბილიტაცია. საყრდენი კედლების მოწყობა და მდინარეთა ნაპირსამაგრი სამუშაოები, სპორტული ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების შენობის რეაბილიტაცია, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის ხელშეწყობა და მოსახლეობის სოციალური დახმარების პროგრამები და სხვა.

**- ცენტრალური ხელისუფლება დიდ იმედებს ამყარებს ბაკურიანის განვითარების სააგენტოზე. რა კეთდება საკურორტო დაბის კეთილმოსაწყობად? ამ კითხვით მივმართეთ ბაკურიანის განვითარების სააგენტოს უფროსს ქალბატონ ეკა ორჯონიკიძეს.**



- მიმდინარე წელს დაკომპლექტდა და ფუნქციონირება დაიწყო სსიპ **„ბაკურიანის განვითარების სააგენტომ“**. შეიქმნა ადმინისტრაციის, ტრანსპორტის, დასუფთავების, ზედამხედველობის და არქიტექტურის სამსახურები. აღნიშნული სამსახურები აქტიურად ფუნქციონირებენ. სააგენტო განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს საკურორტო დაბაში სანიტარულ წესრიგს, რისთვისაც შევიძინეთ ნაგავმზიდი მანქანები, ხდება საყოფაცხოვრებო ნარჩენების სისტემატური გატანა, ირეცხება და სუფთავდება ცენტრალური ქუჩები და ჩიხები. წარმატებით მიმდინარეობს ბაკურიანის პარკის რეაბილიტაცია, რომელიც მომავალ წელს დამთავრდება. სააგენტო აქტიურად ეხმარება მოქალაქეებს და მომსახურებას უწევს სააგენტოს მფლობელობაში არსებული ტექნიკით მათი მომართვიანობის საფუძველზე. დასუფთავების, ზედამხედველობის და ტრანსპორტის სამსახურის თანამშრომლებისთვის შევიძინეთ სპეციალური ფორმები ოთხივე სეზონისთვის, რომელიც უფრო კომფორტულს გახდის მათ მუშაობას. აღირიცხა გადამხდელ აბონენტთა რაოდენობა, ბაკურიანში საგრძნობლად შემცირდა უკანონო მშენებლობები, ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიასთან და საკრებულოსთან თანამშრომლობით ერთობლივად ხორციელდება შინაური ცხოველების მოვლის წესების დაცვა, რომელიც ზღუდავს შინაური ცხოველების მიერ ქუჩების დაბინძურებას და მწვანე ნარგავების დაზიანებას. უახლოეს მომავალში ბაკურიანისა და დიდი მიტარბის მიმართულებით იმოძრავებს თანამედროვე ტიპის საზოგადოებრივი ტრანსპორტი, შეიქმნება საპარკინგე ადგილები, რომელიც განტვირთავს ქუჩებს და აღმოიფხვრება საცობები. მსოფლიო ბანკის დაფინანსებით სსიპ „ბაკურიანის განვითარების სააგენტოს“ დეპოს მშენებლობისთვის მიმდინარეობს პროექტირება.



ბაკურიანი ემზადება 2023 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძლობისთვის. მიმდინარეობს „დიდველის“ სათხილამურო ტრასამდე მისასვლელი გზის რეაბილიტაცია, ასევე სააგენტოს ინიცირების საფუძველზე საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო 2023 წლის გაზაფხულიდან გეგმავს ხუთი ჩიხის სრულ რეაბილიტაციას, წყლის და წყალარინების სისტემის, სამანქანო და საფეხმავლო გზის მოწესრიგებას, ასევე მიმდინარეობს ბაკურიანის დასასვენებელი პარკის რეაბილიტაცია, რომელიც 2023 წლის გაზაფხულზე დასრულდება.

განახლებული რეგიონების პროექტის ფარგლებში დაიგეგმა ბაკურიანის ცენტრალური ქუჩის რეაბილიტაცია, რაც გულისხმობს საერთო ღობეების, შენობების სახურავების, ფასადების რეაბილიტაციას და ახალი ჯიხურების განთავსებას. სააგენტოს შუამდგომლობით იგეგმება კომუნიკაციების მიწის ქვეშ მოქცევა, რაც საგრძნობლად გააუმჯობესებს დაბის იერსახეს. სამთო კურორტების გამოცდილების გაზიარების მიზნით მიმდინარე წლის ივნისში, ვიმყოფებოდი თურქეთის რესპუბლიკაში ქალაქ ერზრუმის პროვინციის სამთო კურორტ პალანდოკენში, სადაც შედგა შეხვედრა ერზრუმის მერთან და წამყვანი უწყებების ხელმძღვანელ პირებთან.

**(გაგრძელება მეორე გვერდზე)**

## დაფინანსება გაიცა



**ბორჯომის მერიამ** საშეშე მერქნის შესაძენად 95 400 ლარის დაფინანსება გასცა. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ 636 ოჯახზე, რომლის სარეგისტრაციო ქულა არ აღემატება 70 000-ს საშეშე მერქნის შესაძენად თითოეულს 150 ლარი ჩაურიცხა.

ბორჯომის მუნიციპალიტეტში 25-მდე სოციალური პროგრამა ხორციელდება. პროგრამის მთავარი მიზანია ადგილობრივი მოსახლეობის, ასევე სოციალურად დაუცველ ბენეფიციართა მდგომარეობის გაუმჯობესება და მათი მხარდაჭერა.

## სამადლობელი

**ბაკურიანში** სარეაბილიტაციო სამუშაობთან დაკავშირებით პარკის ტერიტორიაზე მოჭრეს ხმელი ხეები და მერიის ინიციატივით დამზადებული სამერქნე შეშა 13 შეჭირვებულ ოჯახს დაურიგეს.

მადლიერი ოჯახები მადლობას უხდიან ბორჯომის მერს **ოთარ არბოლიშვილს**, ბორჯომის საკრებულოს თავმჯდომარეს **დავით ზაალიშვილს**, ბაკურიანში მერის წარმომადგენელს **ქეთევან ლონდარიძეს**, მერის წარმომადგენლის სპეციალისტს ბაკურიანში **ტრისტან მეხრიშვილს**.

ხელს აწერენ:**ქსენია ოსეფიანი, მარინა ჩეხოევი, დიმიტრი და ზეინაბ პეტროსიანები.**

ნომრის სპონსორია ბაკურიანის განვითარების სააგენტო (დირექტორი ეკა ორჯონიკიძე)

# ბორჯომ-ბაკურიანის დღევანდელობა და მომავალი

**(გაგრძელება)**

**- ბატონო ოთარ, რა კეთდება მუნიციპალიტეტში მოსახლეობის სოციალური პრობლემების გადასაწყვეტად?**

- მოსახლეობის სოციალური დაცვის პრობლემები მუნიციპალიტეტის მერიისათვის და საკრებულოსათვის უპირველესი საზრუნავია. მინდა სიამაყით განვაცხადო, რომ ბორჯომის მუნიციპალიტეტი ამ თვალსაზრისით ერთ-ერთი მოწინავეა რესპუბლიკაში. მუნიციპალიტეტში სოციალურად დაუცველების დასახმარებლად მოქმედებს 22 პროგრამა, რომელთაგან აღსანიშნავია მოსახლეობის სტაციონალური მომსახურების უზრუნველყოფა, 2021 წელს 1000-ზე მეტ მოქალაქეს 756768 ლარი გამოეყო, ხოლო მიმდინარე წლის 8 თვეში 843 მოქალაქეს 696975 ლარი ჩაერიცხა.



მუნიციპალიტეტის პროგრამა ითვალიწინებს მრავალშვილიან ოჯახების, ობლების, შშმ-პირების, ახლადდაქორწინებულების, ახალშობილების, მარტოხელა დედების, ბორჯომის საპატიო მოქალაქეების და სხვა კატეგორიების დაფინანსებას.

აღსანიშნავია ისიც, რომ ბორჯომში (ალბათ მთლიანად საქართველოში) ყველაზე იაფია ქალაქში საზოგადოებრივი ტრანსპორტით გადაადგილება (20 თეთრი ღირს), განახევრებულია დაბა-სოფლებში ავტობუსებით გადაადგილება. უფასოა მუსიკალურ სასწავლებელში და სპორტულ სკოლაში სწავლება, წარჩინებული სტუდენტები ბიუჯეტიდან ფინანსდებიან და სხვა. ამ დიდ შეღავათს ბიუჯეტის შემოსავლებიდან ვასვსებთ.



ყოველწლიურად წარმატებით ხორციელდება მუნიციპალიტეტის დაბა-სოფლებში მოსახლეობის მიერ შერჩეული ობიექტების მშენებლობა, ამ თვლსაზრისით ყოველწლიურად 840 ათასი ლარის სამუშაოები სრულდება.

გარდა ამისა სადღესასწაულო დღეებში სოციალური დახმარების პაკეტები გადაეცემა სხვადასხვა კატეგორიის სოციალურდ დაუცველ მოსახლეობას.

**- რომელ ინფრასტრუქტურულ პროექტს გამოარჩევდით?**

- მიმდინარე წელს დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტები მთლიანად შერჩეულია და მორგებულია მოსახლების მოთხოვნებს. თუმცა რამდენიმე მათგანი ყველაზე მასშტაბური, ფართო საზოგადოების ყურადღებას იპყრობს.

განახლებული რეგიონების პროგრამის ფარგლებში ბორჯომში მიმდინარეობს მერაბ კოსტავას სახელობის პარკისა და მოედნის რეაბილიტაცია, რომლის ღირებულება შეადგენს 4 192 532 ლარს. პროექტის ფარგლებში დაგეგმილია მოედნის სავალი ნაწილის განახლება ქვაფენილით, ფეხით სავალი ნაწილის რეაბილიტაცია და დასასვენებელი სივრცის მოწყობა, ფეხით სავალი ბილიკების მშენებლობა, ბავშვთა გასართობი სივრცეები, ღია კინოთეატრი, საზაფხულო კაფე, ჭადრაკის სათამაშო კუთხე, დასასვენებელი ფანჩატურები, დეკორატიული პერგოლა, განხორციელდება არსებული შადრევანის რეაბილიტაცია, მოეწყობა დეკორატიული განათება-გამწვანება, დამონტაჟდება საბაღე სკამები, ურნები, სასმელი წყლის ბიუვეტები. აღნიშნული პროექტი დასკვნით ეტაპზეა. დაწყებულია მოსაპირკეთებელი სამუშაოები, რომლის დასრულებაც მიმდინარე წელს დასრულდება.

ასევე მნიშვნელოვანია ბორჯომში რუსთაველს ქუჩაზე სანაპიროს მიმდებარედ სკვერის მოწყობა, რომლის პირველი ეტაპის სამუშოები დასრულდა მიმდინარე წელს, ხოლო სკვერის მეორე ეტაპის რეაბილიტაციის სამუშოებზე გამოცხადებულა ელექტრონულ ტენდერში უკვე გამოვლინდა სამშენებლო ორგანიზაცია და შეუდგა მუშაობას. პროექტი ორწლიანია და სამშენებლო სამუშაოები დასრულდება 2023 წელს, ობიექტი ფინანსდება რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით.

მიმდინარე წელს საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციისათვის ბიუჯეტში გათვალისწინებულია 3 766 912 ლარი, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ჯამში განხორციელდება დაახლოებით 10 კმ-მდე გზის მონაკვეთის მოწესრიგება. სამშენებლო სამუშაოები მიმდინარეობს სოფლებში ყვიბისში, ბაკურიანში, სადგერში, ცემში, მზეთამზეში, ტიმოთესუბანში, საკირეში, დგვარში. ასევე წარმატებით მიმდინარეობს მაღალმთიანი სოფლების ჭიხარულასა და მოლითს შორის მისასვლელი გზის მოასფალტება-რეაბილიტაციის სამუშაოები.

დიდი მოცულობის სამუშაოები მიმდინარეობს მუნიციპალიტეტის მთელ რიგ სოფლებში (ახალდაბა, ყვიბისი, წაღვერი, საკირე, ტაძრისი, დგვარი და სხვაგანაც) სასმელი წყლის სათავე ნაგებობის და წყალსადენი მაგისტრალების მშენებლობისთვის.

ბორჯომში ერთიანი მოწესრიგებული იერსახის შექმნისათვის მნიშვნელოვანი პროგრამაა ცენტრალურ ქუჩებზე არსებული მრავალ სართულიანი საცხოვრებელი კორპუსების ფასადების და სახურავების რეაბილიტაცია. მიმდინარე წელს დაგეგმილია რამდენიმე ბინის გარე ფასადის რეაბილიტაცია.

**- ბორჯომმა როგორც კურორტმა განვლილი 30 წლის მანძილზე დიდი რეგრესი განიცადა, რა კეთდება სახელოვანი წარსულის ასაღორძინებლად?**

- ისტორიული შენობების რესტავრაცია-რეაბილიტაციისათვის ქ. ბორჯომში აქტიური სამუშაოები მიმდინარეობს. დასრულდა ყოფილი კავალერიის შენობის რესტავრაცია და მუზეუმად ადაპტირება, რომელიც საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის დაფინანსებით განხორციელდა (ღირებულებით 3 033 996 ლარი). შენობა იქნება მულტიფუნქციური, სადაც განთავსდება სამუზეუმო, საგამოფენო, საკონფერენციო, კომერციული და სხვა სივრცეები.

ასევე ბორჯომის მუნიციპალიტეტისათვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პროექტია ქ. ბორჯომში ცენტრალურ პარკში მდებარე ისტორიული ჰიდროელექტროსადგურის რეაბილიტაცია და მუზეუმად ადაპტირება. (პროექტის ღირებულება შეადგენს 2 636 980 ლარს), პროქტი დაფინანსებულია მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ რომლის დასრულებაც შემოდგომაზე იგეგმება.

მომავალი წლისთვის ვითვალისწინებთ ყოფილი საკურორტო დარბაზის რეაბილიტაციას და შენობის მეორე სართულის სამხატვრო გალერეიად გადაკეთებას, ხოლო პირველ სართულზე ბორჯომის მინწყლის მუზეუმის გახსნას. ასევე ტურისტებისათვის მნიშვნელოვანია ქალაქის სიახლოვეს არსებული ისტორიული „გოგიას ციხის" რესტავრაცია, ციხის მიდამოებში გადმოსახედი მოედნის მოწყობა და სხვა ობიექტების მშენებლობა, რეკონსტრუქცია ესაჭიროება მინწყლების ისტორიულ პარკსაც.

დიდი სურვილი გვაქვს რესტავრცია ჩაუტარდეს რომანოვების ისტორიულ შენობას, რომელიც ტურისტთა დათვალიერების ობიექტი იქნება.

გვინდა ქალაქის საზოგადოების წინადადებას ფრთები შევასხათ და ქალაქის ცენტრში დავდგათ და უკვდავყოთ ქართველთა გმირთა-გმირის, წმინდანად შერაცხული შალვა თორელის ძეგლი.გვაქვს სხვა წინადადებებიც, რომლებსაც თანდათანობით განვახორციელებთ, რითაც ახალ სიცოცხლეს შევძენთ ჩვენს კურორტ-ქალაქს.

**- ორკვირიანმა ხანძრებმა სერიოზული ზიანი მიაყენა ბორჯომის საკურორტო ტყეებს?**

- გეთანხმებით, ზარალი მნიშვნელოვანია, დაიწვა დაახლოებით 200 ჰექტარი ტყე, ცენტრალურმა ხელისუფლებამ ქმედითი დახმარება აღმოგვიჩინა. ოთხი სამინისტროს 1300 წარმომადგებელი: ქართული ჯარის ნაწილები, მაშველი-მეხანძრეები, გარემოს დაცვის მუშაკები, სასაზღვრო დაცვის შვეულმფრენები, თურქეთის მფრინავები თავდადებით ებრძოდნენ სტიქიას, მინდა ბორჯომელთა სახელით ყველას უღრმესი მადლობა გადავუხადო იმ თავდადებისათვის, რომელიც მათ გამოიჩინეს სტიქიის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში.

მოვუწოდებ მუნიციპალიტეტის მოსახლეობას და ტურისტ-დამსვენებლებს ტყეში დაიცვან ხანძარსაწინააღმდეგო მოთხოვნები.

**- რომელი პრობლემები მიგაჩნიათ უპირველეს რიგში გადასაწყვეტად?**

- უპირველეს პრობლემად მიმაჩნია ბორჯომში და ბაკურიანში კანალიზაციის გამწმენდი ნაგებობების არ არსებობა. დღემდე დაუმთავრებელია მდინარე მტკვრის სანაპირო ზოლში დამცავი ჯებირების მშენებლობა. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით ამ ობიექტების დამთავრება შეუძლებელია. საკურორტო რეგიონში ტურიზმის და საკურორტო მეურნეობის განვითარებისათვის მიზანშეწონილად მიმაჩნია ბორჯომ-ბაკურიანის ვიწროლიანდაგიანი რკინიგზის აღდგენა, მთელი რიგი ისტორიული ობიექტების სარესტავრაციო სამუშაოების წარმართვა, ნეძვის და თორის ცნობილი სამონასტრო და ისტორიული ქალაქის არქეოლოგიური კვლევა-ძიების ჩატარება.



დასაჩქარებელია კურორტ ბორჯომის განვითარების პერსპექტიული გეგმის და ქალაქის გენგეგმის შედგენა დამტკიცება. დიდი სურვილი გვაქვს ბორჯომში აღორძინდეს ბალნეოკურორტი. თუკი კურორტების წყალტუბოს და აბასთუმნის აღორძინება დაიწყო, რა დააშავა ბორჯომმა. იმედს ვიტოვებთ საქართველოს გადამრჩენელი საქვეყნოდ აღიარებული ქველმოქმედი და ფილანტროპი ბატონი ბიძინა ივანიშვილი ჩვენს ქალაქსაც მიაქცევს ყურადღებას. არის სხვა სერიოზული პრობლემებიც, რომელთა გადაწყვეტას თანდათანობით შევძლებთ.

მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის დიდი სურვილია ფეხი აუწყოთ ქვეყანაში მიმდინარე განახლებებისა და აღმშენებლობის აღებულ მაღალ ტემპს და ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის რომ რაც შეიძლება მოკლე დროში ავამოქმედოთ და ძალა შევმატოთ უძრაობის წლებში მიგდებულ და მიტოვებულ ობიექტებს.

**- ბატონო ოთარ, რას ეტყვით ბორჯომელებს სამომავლოდ?**

- ბორჯომი უნიკალური საკურორტო ადგილია. თავისი რელიეფური და მიკროკლიმატური თვისებებით, ბორჯომის თანამედროვე განვითრების პერსპექტივას ხელს უწყობს მისი მდიდარი არქიტექტურული მემკვიდრეობა, ლამაზი ბუნება, ეკოლოგიურად სუფთა გარემო და რაც მთავარია, აქვს განვითრების უდიდესი პოტენციალი, რისთვისაც ჩვენ ყველამ ერთობლივად უნდა ვიზრუნოთ

გულწრფელად ვამბობ არ დავიღლები ამ ქალაქის ერთგული სამსახურით, დღენიადაგ ვიზრუნებ ბორჯომელთა წინაშე არსებული გამოწვევების ღირსეულად გადაჭრისათვის.

**- ბატონო დავით, თქვენ რას ეტყვით ბორჯომელებს საიმედოდ?**

- ქართველებს მეტად შთამბეჭდავი სიტყვა გვაქვს - „წუთისოფელი". მარადისობის ჭრილში მართლაც წუთია ჩვენი ამქვეყნად ყოფნა. ყველას გვინდა ბედნიერად განვლოთ ჩვენი წუთისოფელი. ძალიან მინდა თითოეულმა ბორჯომელმა წარმატებით შეუთანხმოს ერთმანეთს სურვილი, შესაძლებლობა და ვალდებულება. თუ ამას შევძლებთ (და უნდა შევძლოთ) მაშინ ბედნიერებასაც ვეზიარებით.

ულევ სიხარულს და ბედნიერებას ვუსურვებ ჩემს ბორჯომელებს. მინდა ბორჯომი კიდევ უფრო ლამაზი და წარმატებული იყოს. მუნიციპალიტეტში არ გვყავდეს სოციალურად დაუცველი ოჯახი, დაბა-სოფლები მალე გაუთანაბრდნენ ქალაქის განვითარების დონეს, თვალი არ დავხუჭოთ ჯერ კიდევ მოსაგვარებელი პრობლემების გადაწყვეტისათვის. თუ ყველა მოვინდომებთ ამ პრობლემებს აუცილებლად დავძლევთ.

**ესაუბრა ვალერიან ლომიძე**
**საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი.**

## მოკლედ წარსულის შესახებ

საგულისხმოა ის ფაქტი, რომ განვლილი 30 წლის წინათ ბორჯომში მოქმედებდა 15 სამრეწველო საწარმო, შექმნილი იყო საკურორტო-ტურისტული ობიექტების ფართო ქსელი, ბორჯომი საკავშირო კურორტად ითვლებოდა და მეტად პოპულარული იყო. ყოველწლიურად ბორჯომში 120-150 ათასი ავადმყოფ-დამსვენებელი და ტურისტი მკურნალობდა და ისვენებდა. ბორჯომ-ბაკურიანი ჩვენს რესპუბლიკასა და მთელს საბჭოთა კავშირში ერთ-ერთ საუკეთესო ზონად ითვლებოდა. თუ ყოველივე ამ სიკეთეს იმასაც დავუმატებთ, რომ ბორჯომის მინერალური წყალი დიდი პოპულარობით სარგებლობდა მსოფლიოში და იგი საქართველოს სავიზიტრო ბარათს წარმოადგენდა და დღესაც წარმოადგენს. ბორჯომს არც შემოსავალი აკლდა და არც სახელი.

ბორჯომში ყოველწლიურად ისვენებდნენ საქართველოს და ყოფილი საბჭოთა კავშირის ელიტარული საზოგადოების წარმომადგენლები.

ცნობილი მოვლენების შემდეგ საქვეყნოდ აღიარებული ბალნეო კურორტისაგან ბორჯომში მხოლოდ მწარე მოგონებები შემოგვრჩა.

ერთ დროს ბაღნარად ქცეული საკურორტო ობიექტები გაპარტახებულია, არც ერთი სანატორიულ-საკურორტო ობიექტი აღარ ფუნქციონირებს.

30 წლის წინათ უამრავი გაყიდული ობიექტებიდან თითზე ჩამოსათვლელი ობიექტი თუ ფუნქციონირებს, დანარჩენების ტერიტორიები ეკალბარდებითაა დაფარული, ამ ობიექტების მფლობელები არც ფიქრობენ მათი ამოქმედებისათვის და ელოდებიან მდიდარი ინვესტორის გამოჩენას, რათა სარფიანი შემოსავალი ნახონ. ასეთ ობიექტთა შორისაა 9 სართულიანი ყოფილი ადმინისტრაციული შენობა, ყოფილი სასტუმროები „ბორჯომი" და „თბილისი", მიტოვებულია ტურბაზა „პლატო", უპატრონოდაა კომპოზიტორთა შემოქმედებითი სახლი, მთელი რიგი ყოფილი სანტორიუმები („ლიკანი", „მთის ხეობა", „ფირუზა", „რკინიგზის საავადმყოფო", პანსიონატი „პლატო" და სხვებშიც თავიდან აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულები შეასახლეს, მერე ეს შენობები მთლიანად მათვე გადაეცათ ბინებად, (ბევრმა ბინები კიდეც გაყიდა და ახლა თავიდან ითხოვენ საცხოვრებელს).

დღეს ბორჯომის მუნიციპალიტეტში სამი მაღალი კლასის სასტუმრო მოქმედებს, („ქრაუნ პლაზა", „ბორჯომი-პალასი" და „ბორჯომი-ლიკანი"), არის რამდენიმე თანამედროვე დონის საოჯახო სასტუმროც. სამაგიეროდ ბაკურიანში ათეულობით მაღალსართულიანი სასტუმროების კორპუსები აშენდა და დღესაც ინტენსიურად შენდება მაღლივი კორპუსები, სადაც სერიოზულად დაირღვა ამ შესანიშნავი ზამთრის კურორტის განვითარების გენგეგმის მოთხოვნები. ახლა ბაკურიანში სასტუმროების ბუმია.

დღეს ბორჯომში ორად-ორი სამრეწველო ობიექტი მუშაობს სტაბილურად - „ბორჯომის" მინწყლის ჩამომსხმელი ქარხანა და ჩითახევჰესი, დანარჩენი ყოფილი სამრეწველო ობიექტების სახელები ისტორიის საკუთრებად იქცა...

მართლია ბორჯომის, როგორც ბალნეოკურირტის აღორძინებას წლები დაჭირდება და მარტო მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელების თავგანწირული შრომა საკმარისი არ იქნება, თუ ცენტრალური ხელისუფლება, ცალკეული სამინისტროეები და უწყებები ქმედით დახმარებას არ აღმოუჩენენ ბორჯომის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდა ხელმძღვანელებს.

რესპუბლიკური გაზეთის ფურცლებიდან

# „ეს გზა ქართველებმა გავიარეთ“

**ქართველმა მთამსვლელებმა ალპინიზმის „ოსკარი“ - „მსოფლიო ოქროს წერაყინი“ მოიპოვეს, რაც ქართული ალპინიზმის ისტორიაში უპრეცედენტოა. სამეულმა არჩილ ბადრიაშვილმა, გიორგი ტეფნაძემ და ბაქარ გელაშვილმა პაკისტანში, ჯერ დაულაშქრავ მწერად სარაგრარზე (7300მ) უმაღლესი სირთულის მარშრუტი გაიარეს. მთამსვლელობის საერთაშორისო ფედერაციამ ქართველი სპორტსმენების ასვლა წლის საუკეთესო ასვლად დაასახელა. ჩემპიონ მსახიობს უმაღლეს ჯილდოს - „ოქროს წერაყინს“ ნოემბერში საფრანგეთის ქალაქ ბრიანკოლში გადასცემენ. „გვინდოდა ისეთი ასვლა გაგვეკეთებინა, რომელიც საქართველოს ალპინიზმისა და ჩვენთვისაც ახალი, წინ გადადგმული ნაბიჯი იქნებოდა, ისეთი, რომელსაც მთელი მსოფლიო მიაქცევდა ყურადღებას. ბევრმა სცადა სარაგრარზე ასვლა, მაგრამ უშედეგოდ. ამიერიდან ყველამ იცის, რომ ეს გზა ქართველებმა გავიარეთ“, - სიმაყით გვეუბნება მთამსვლელი ბაქარ გელაშვილი და გვიამბობს ორთვიან ურთულეს ექსპედიციაზე:**

**ქართველმა მთამსვლელებმა** ალპინიზმის **„ოსკარი“ - „მსოფლო ოქროს წერაყინი“** მოიპოვეს, რაც ქართული ალპინიზმის ისტორიაში უპრეცედენტოა. სამეულმა: **არჩილ ბადრიაშვილმა, გიორგი ტეფნაძემ** (თბილისელები) და ბორჯომელმა **ბაქარ გელაშვილმა** პაკისტანში, ჯერ დაულაშქრავ მწვერვალ **სარაგრარზე** (7300მ) უმაღლესი სირთულის მარშრუტი გაიარეს, მთამსვლელობის საერთაშორისო ფედერაციამ ქართველი სპორტსმენების ასვლა წლის საუკეთესო ასვლად დაასახელა. ჩემპიონ სამეულს უმაღლეს ჯილდოს - **„ოქროს წერაყინს“** ნოემბერში საფრანგეთის ქალაქ ბრიანკონში გადასცემენ. **„გვინდოდა ისეთი ასვლა გაგვეკეთებინა, რომელიც საქართველოს ალპინიზმისა და ჩვენთვისაც ახალი, წინ გადადგმული ნაბიჯი იქნებოდა, ისეთი, რომელსაც მთელი მსოფლიო მიაქცევდა ყურადღებას. ბევრმა სცადა სარაგრარზე ასვლა, მაგრამ უშედეგოდ. ამიერიდან ყველამ იცის, რომ ეს გზა ქართველებმა გავიარეთ“,** - სიამაყით გვეუბნება ბორჯომელი მთამსვლელი **ბაქარ გელაშვილი** და გვიამბობს ორთვიან ურთულეს ექსპედიციაზე:

- სარაგრარამდე სხვადასხვა დროს ავედით სხვა აუსვლელ მწვერვალებზე: 2017 წელს იყო ლარიანეპალი, ჰიმალაები, 6400მ.) ჩვენს მარშრუტს **„პირველი ქართული გზა ჰიმალაებში“** ერქვა. მაშინაც ნომინირებული ვიყავით „ოქროს წერაყინზე“, მაგრამ ამ ასვლამ პრიზი ვერ დაიმსახურა. შემდეგ იყო პანგპოჩე - 1 და პანგპოჩე - 2 და ჩვენმა სამეულმა ვერც მაშინ მოიპოვა პრიზი. ამ წლების განმავლობაში ვემზადებოდით უფრო რთული მარშრუტის დასაძლევად და ეს აღმოჩნდა სარაგრარი, რომლის სიმაღლეც 7300 მეტრია. ბევრი კრიტერიუმი ჯამდება, ბევრ რამეზეა წარმატება დამოკიდებული ტექნიკური სირთულე, სიმაღლე, ასვლის სტილი... მე დიდად არ ვიყავი მონდომებული, რომ მაინცდამაინც პრიზი აგველო, მინდოდა ისეთი ასვლა გამოგვსვლოდა, რომელიც საქართველოს ალპინიზმისა და ჩვენთვისაც ახალი, წინ გადადგმული ნაბიჯი იქნებოდა, ისეთი, რომელსაც მთელი მსოფლიო მიაქცევდა ყურადღებას. გამოგვივიდა... წინა წლებში ბევრმა სცადა მწვერვალ სარაგრარზე ასვლა, მაგრამ უშედეგოდ. **ამიერიდან ყველამ იცის, რომ ეს გზა ქართველებმა გავიარეთ.**

**- რა დრო მოანდომეთ ამ ურთულესი გზის გავლას და ჩამოსვლას?**

- ექსპედიცია 2 თვემდე გაგრძელდა. სანამ მთას მიუახლოვდები, ბევრი საორგანიზაციო საკითხია მოსაგვარებელი. როცა მთაზე დავიწყეთ ასვლა, მარშრუტის გავლას 8 დღე და 7 ცივი და სუსხიანი ღამე მოვანდომეთ. ტემპერატურა არ იყო ძალიან დაბალი, ვინაიდან ზაფხულში ვიარეთ, ზევით მინუს 15 გრადუსი იყო. მარშრუტისთვის 8 დღეც ბევრი იყო, მთაზე დიდხანს ყოფნა შეუძლებელია. მწვერვალიდან ჩამოსვლას დაახლოებით 25 საათს მოვუნდით. ჩვენ 25 აგვისტოს ვიყავით ბარფიზე (6833 ემის მთა). სარაგრარზე კი 9 სექტემბერს ესაა მწვერვალების დღეები.

**- ამასობაში წყალი და საკვები ხომ არ გამოგელიათ?**

- დიდ ექსპედიციებს ყოველთვის ახლავს დიდი გუნდი, რომელიც საბაზო ბანაკამდე მისვლას უზრუნველყოფს, მაგრამ იქიდან მთამსვლელები მარტო რჩებიან. საბაზო ბანაკი 4300 მეტრზე იყო, იქიდან მარტო გვიწევდა სხვადასხვა ინვენტარისა და საკვების ტარება. ჯერ აკლიმატიზაცია შევისწავლეთ, შემდეგ მთა დავზვერეთ და მერე გადავწყვიტეთ ასვლა. ბაზიდან გასვლამ არაერთხელ მოგვიწია, სანამ სარაგრარზე ავიდოდით, ჯერ ბარფიზე ვიყავით. მას იქაურები „ჰინდიკუშის პატარძალს“ ეძახიან, როგორც ჩვენს მყინვარწვერს „ხევის პატარძალს“. ექსპედიციაში იმდენი პროდუქტი მიგაქვს, მსუბუქად რომ იყო. მთავარია წყალი, რომ არ გამოშრე), გაზი და ქურა (ყინულის გასალღობად), სუპი, შოკოლადი, ცოტა თხილეული და სხვა, რაც ენერგიას გმატებს. საკმარის ენერგიას მაინც ვერ გამოიმუშავებ, რადგან სიმაღლეზე ენერგიის აღდგენა ძალზე რთულია. ბოლო ორი დღე საკვებიც გაგვითავდა. მარშრუტის დასაწყისში ქვემოთ ცოტა უმი მაკარონი გვქონდა დატოვებული და ჩამოსვლისას ერთმანეთს ვეუბნებოდით, აბა, სწრაფად, ქვემოთ საჭმელი გველოდებაო. ვოცნებობდით თუნდაც 1 კოვზ მაკარონზე, ოღონდ რაღაც გვეჭამა. მას შემდეგ უფრო შეგვიყვარდა მაკარონი. ალბათ, უსაზღვრო სიხარულია, მწვერვალზე ფეხის დადგმა რთული მარშრუტის დაძლევის შემდეგ სიმსუბუქის, სიმშვიდისა



და ბედნიერების შეგრძნება გაქვს, მიზანს მიაღწიე, შენ უკვე იქ ხარ და ამ სიმაღლიდან ბედნიერი თვალებით უცქერ ულამაზეს გარემოს. თითქოს ამოისუნთქე, აი, ეს შეგრძნება გეუფლება. ალპინისტები ცოტა გიჟები ვართ (იცინის). ჩვენი პროფესია სახიფათოა, მაგრამ მაქსიმალურად ცდილობ, ყველა საფრთხე აიცილო, არ შეგეშინდეს. ისე აზრიანად უნდა იმოძრაო, შენს სიცოცხლეს და ჯანმრთელობას საფრთხე არ დაემუქროს.

**- სად გაიმართება დაჯილდოება და კიდევ რომელი მწვერვალი გაქვთ დასალაშქრავი?**

- დაჯილდოება 18-20 ნოემბერს გაიმართება საფრანგეთის ალპებში, ყველაზე მაღალ ქალაქ ბრიანკონში. სხვათა შორის, ამ ექსპედიციის შემდეგ ჰიმალაებში კიდევ ავედით მწვერვალ მაკალუზე (8484 მეტრზე), უჟანგბადოდ. ქართველი მთამსვლელებისთვის ესეც პირველი ასვლა იყო ამ მწვერვალზე. სარაგრარს რაც შეეხება, ჩვენამდე იქ არავინ იყო ნამყოფი, ამიტომაც ატყდა ერთი ამბავი. გეგმებს რაც შეეხება, ალბათ, წავალთ ყველგან, საითაც გული გაგვიწევს. ჯერ სამივენი საქართველოში ვართ, არჩილი ამჟამად მყინვარწვერზეა.

**- ალპინისტურმა ჟინმა როდის შეგიპყროთ ბიჭები?**

- არჩილი ბავშვობიდანვე, რადგან მისი დედ-მამა და ბიძაც მთამსვლელები იყვნენ, გიორგიმ ცოტა მოგვიანებით დაიწყო - ბოტანიკურ ბაღში იკრიბებიან მეკლდეურები, მთამსვლელები და იქ ვარჯიშობენ. მერე დაიწყო მთაში სიარული. მე 2007 წლის იანვარში მყინვარწვერზე პირველად ვიყავი სასრიალოდ (ბავშვობიდან თხილამურებით ვსრიალებ) და ისე მომეწონა, მანამდე თუ ვფიქრობდი, რომ სრიალი იყო ყველაზე დიდი სიამოვნება, ისეთი სილამაზე იყო, მივხვდი, რომ მის გარდა ყოფილა მთამსვლელობა. მახსოვს, 5 წლის ვიქნებოდი, როცა ბავშვებმა გამოვიგონეთ თამაში, რომელსაც „მთამსვლელობა“ დავარქვით, პატარ-პატარა სიმაღლეებზე დავძვრებოდით. ეტყობა, მთამსვლელობის ჟინი თავიდანვე მქონდა.

ჩვენ, სამივენი, მთამ დაგვამეგობრა, ჯერ არჩილი, მოგვიანებით გიო გავიცანი. 10 წელია, ყველგან ერთად ვართ. სხვათა შორის, კარგად დავდივარ სამთო ველოსიპედითაც.

**- გატყობთ, გუნდურად მუშაობა კარგად გამოგდით, რა არის ამისთვის მთავარი?**

- სრული ნდობა გვაქვს ერთმანეთის. მთამსვლელისთვის ეს ყველაზე მნიშვნელოვანია. ეს საქმე ძალიან უნდა გიყვარდეს, ცოტა აზარტულიც უნდა იყო. აუცილებელია ძლიერი ფსიქოლოგია, ვინაიდან ამტანი უნდა იყო.

**- როგორ შეხვდნენ თქვენს გამარჯვებას საქართველოში?**

- ჩვენი ექსპედიცია სპორტის სამინისტრომ დააფინანსა. ვფიქრობ, ამ ფაქტის შემდეგ ალპინიზმს უფრო მეტი ყურადღება მიექცევა, რათა მომდევნო თაობებმა არ ნახონ ის, რა წვალებაც ჩვენ გამოვიარეთ. რაღაც უნდა გაგვეყიდა, მაგალითად, სახლი, ან ბანკიდან გამოგვეტანა სესხი, მთაში რომ წავსულიყავით. ახლა ეს საკითხი გამოსწორდა და იმედია, ბევრს ექნება საშუალება და ხელშეწყობა მთამსვლელობაში. კავკასიელები ვართ, ამდენი მწვერვალი და მთა გვაქვს და სირცხვილიცაა, ეს სპორტი ჩვენში არ იყოს პოპულარული, არ ჰქონდეს ხელშეწყობა. ვფიქრობ, ჩვენი გამარჯვება სხვებს მოტივაციას აუმაღლებს და მომავალში არაერთი წარმატებული ალპინისტი გვეყოლება.

**- რატომ აპროტესტებთ გამოთქმას „მწვერვალის დაპყრობა“?**

- ცოტა გვეშინია ამ სიტყვის, ვერ ვახსენებთ, რადგან, როცა ადამიანი ამხელა სივრცეში ხარ, როგორ შეიძლება რამის დაპყრობასთან გქონდეს საქმე დაპყრობის ნაცვლად, მთამსვლელები დალაშქვრას უფრო ხმარობენ, ან ამბობენ: „ვიყავი მწვერვალზე“... „დაპყრობას“ თითქმის არავინ იყენებს. ან როგორ შეიძლება მთაზე ასვლას ეს სიტყვა ესადაგებოდეს, რადგან თუ მოუნდა, წამში გაგაქრობს.

**ნანა ფიცხელაური,**
**გაზ. „კვირის პალიტრა“ №43**

ისტორიის უცნობი ფაქტები

# ჯვარის მონასტრის აღაპების „შოთა მეჭურჭლეთუხუცესი“

**ჟამთააღმწერლის** მატიანეში არის ცნობა, რომ ამ წელს მონღოლებთან ბრძოლაში მოკლეს მეჭურჭლეთუხუცესი ყვარყვარეს შვილი ბექა. მართლაც 1189 წლიდან 1121 წლამდე არაფერს ამბობენ და ეს თანამდებობა „ვაკანტურია“ 30 წლის მანძილზე. შოთა მესხია თვლიდა, რაკი თამარისა და ლაშას ეპოქების ისტორიკოსთა თხზულებებში აბულასანის და ყვარყვარეს შორის სხვა კონკრეტული პიროვნება არ ჩანს, უნდა ვივარაუდოთ, რომ ვაზირის პოსტზე აბულასანი შეცვალა პირდაპირ ყვარყვარე ჯაყელმა.

მკვლევარმა გიორგი არაბულმა თავის გამოკვლევაში „შოთა რუსთველის ბიოგრაფია ქართულ მეცნიერებაში“ დეტალურად განიხილა პროფესორ შ. მესხიას ეს მოსაზრება და აღნიშნა, რომ მართალია ყვარყვარე ჯაყელი გიორგი რუსის აჯანყების დროს არ შეუერთდა ამბოხებულებს და თამარის მხარე დაიჭირა, მაგრამ 1189 წლისთვის იგი დაახლოებით 20 წლის თუ იქნებოდა და ამ ასაკში ვაზირის მაღალ პოსტზე მისი დანიშვნა ნაკლებად სავარაუდოაო. შემდეგ იგი აღნიშნავს: - მეფე რუსუდანის გარდაცვალების შემდეგ ე.წ. უმეფობის ხანაში (1245-1246 წწ) ყვარყვარე ჯაყელის მეთაურობით მესხთა ლაშქარმა დაამარცხა თურქთმანთა მრავალრიცხოვანი ჯარი, რომელიც ტაოს აოხრებდა. როგორც ჩანს ამ დროს ყვარყვარე კვლავ მხნედ მებრძოლი ყოფილა. რამდენი წლის იქნებოდა მაშინ ყვარყვარე ამ დროს 70-75 წლის რომ ყოფილიყო, მაშინ ის 1189 წელს სრულიად ახალგაზრდა იქნებოდა. ალბათ ამით აიხსნება, რომ მის სახელს 1189 წლის ამბების ხსენებისას არ ახლავს არც ერთი ეპითეტი, რაც უნდა ჰქონდეს „მხნე“, „შემმართებელი“, „ერთგული“, „დიდად ნამსახური“ და მეფეთა მიერ შეწყალებული მოხელე.



ასეთი ჩვეულებრივი რიგითი პიროვნება მაღალ თანამდებობას, მით უმეტეს ვაზირობას მიიღებდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს „ხელი“ მას მემკვიდრეობით ეკუთვნოდა. ყვარყვარე ციხისჯვრელის მიმართ ეს პირობითაც გამორიცხულია. ყოველივე ზემოთ თქმულის შემდეგ დასკვნა ასეთი იქნება: 1190-იან წლებში ყვარყვარე ჯაყელი მეჭურჭლეთუხუცესი ვერ იქნებოდა. ვინ იყო ამ დროს საქართველოს სამეფოს მეჭურჭლეთუხუცესი? ისტორიულ წყაროებში მეჭურჭლეთუხუცესად ცნობილ პირთა შორის შოთა რუსთაველი ერთადერთია, ვინც 1190-იან წლებში ამ „ხელის“ მფლობელად მიგვაჩნია. აბულასანი, ალბათ შოთამ შეცვალა 1189 წელს. სხვა რეალური პიროვნება ამ თანამდებობაზე არ ჩანდა. იგი თამარის სიცოცხლის ბოლომდე შეინარჩუნებდა მეჭურჭლეთუხუცესის თანამდებობას, ხოლო მის შემდეგ ის მიუღია სამცხის სპასალარს ყვარყვარე ჯაყელს.

თამარის ეპოქის სავაზიროს შესასწავლად მკვლევარები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ წალკის ერთ-ერთი ეპიგრაფიული ძეგლის, გუნია-ყალის წარწერას, რომელიც XII-XIII საუკუნის მიჯნით არის დათარიღებული. წარწერას ასეთი სახე აქვს: **„სახელითა ღმრთისაითა, ბრძანებითა ღმერთის სწორთ თამარის და გიორგისთა ჭყონდიდელის, ზაქარია, შალვა, ოსიყმა, ვაჩერსითა, ჯულაბაის მოჭირვებითა, სანობაის ძისა ინაისა ხელთა დაისუა ყველა ხელი ესე ღმრთისა სწორთა მეფეთ-მეფისა გიორგისი“**. ეს ძეგლი ყველა მკვლევარის მიერ 1207-1212წწ არის დათარიღებული.

აკად. პ. ინგოროყვას აზრით გუნია-ყალის წარწერაში XII-XIII საუკუნის მიჯნის საქართველოს სამეფოს სავაზიროა (ხუთი ვაზირის შემადგენლობით) წარმოდგენილი. ასევე ფიქრობს ლ. მუსხელიშვილი - ჭყონდიდელი, ზაქარია, შალვა, ოვსიყმა, ივანე - ხუთივე ვაზირი რიგზე არის ჩამოთვლილი ა. ბაქრაძის დასკვნითაც **„ამ ძეგლის სახით ჩვენ გვაქვს პირველი ეპიგრაფიკული წყარო, სადაც სრულიად საქართველოს მეფეებთან ერთად იხსენებიან სავ**აზიროს ყველა წევრები“.

ნიკო ბერძენიშვილს ეჭვი არ ეპარება, რომ აქ მოხსენიებული პირები ვეზირები არიან. რომ ბრძანების გამცემი თამარის დროს სხვა ვინ უნდა იყოს თუ არა სავაზირო. მისი აზრით **ესაა სავაზიროს სრული სია და თუ „ჩვენ ზოგიერთს თამარის ვაზირებად არ ვიცნობდით. ეს ჩვენი ცოდნის ნაკლულობის შედეგია. ორი პირის გარდა აქ ყველა უცნობია. ზაქარია, ვფიქრობთ მხარგრძელია - ამირსპასალარი, შალვა თორელია - მანდატურთუხუცესი (შალვა თორელის მანდატურთუხუცესობა სხვაგანაცაა დამოწმებული). თავისი ყმა მეჭურჭლეთუხუცესათაა საგულვებელი, ვაჩე კი უნდა ვიფიქროთ ამირახორია. მის მსახურთუხუცესობას ვერ ვივარაუდებთ: მსახურთუხუცესი ამ დროს თითქმის უდავოდ ივანე მხარგრძელი იყო, ხოლო მისი აქ მოუხსენიებლობა იმ ცნობის მოწმობაა, რომ რუსუდანის დრომდის მსახურთუხუცესი სავაზიროში არ შედიოდა.**

**თამაზ ჩიკვაიძე**
**(გაგრძელება იქნება)**

**გაგრძელება. დასაწყისი იხ. გაზეთი „ბორჯომი“ №41, 2022წ.**

# ვულოცავთ!

5 ნოემბერს საუკეთესო ადამიანის, მეუღლის, მამის, პაპის, პედაგოგის
[illegible]

დაბადების დღეა – 90 წელი სერიოზული და პატივსაცემი ასაკია!

ადრეული ასაკიდანვე ზრუნავდი ოჯახზე, ხელიხელჩაკიდებულებმა გალიეთ ქორწინების 60 წელი ერთად შენ და ბებომ, რომელმაც სამწუხაროდ დაგვტოვა შენც და ჩვენ ყველანი. დააფრთიანე სამი შვილი, გაუკვალე ცხოვრების გზა. სამწუხაროდ დიდი უბედურებაც გენვია, როდესაც შენი შვილი, ლევანი სრულიად ახალგაზრდა გარდაიცვალა. ის უდიდესი ტკივილია თითოეული ჩვენთაგანისათვის.

ექვსი შვილიშვილის და რვა შვილთაშვილის პაპა ხარ, საყვარელი და ძვირფასი ადამიანო.

შენი ცხოვრების ნახევარზე მეტი, 55 წელი სხვისი შვილების აღზრდას დაუთმე. ყოველთვის საყვარელი და დასაფასებელი პედაგოგი ხარ და იყავი, შენი სახელის ხსენებისას ყველა სიამაყით იხსენებს, რომ შენი მოსწავლე იყო.

ყველასათვის დიდი იმედი და საყრდენი ხარ, სამაგალითო ადამიანი, ნიმუში იმისა, თუ როგორ უნდა ებრძოლო ცხოვრებას, არ დანებდე და შექმნა სახელი, რომელიც უკვდავია.

დაბადების დღეს გილოცავთ, პაპა, იყავი ჯანმრთელი შენს შვილებთან, შვილიშვილებთან და შვილთაშვილებთან ერთად. კიდევ ბევრი წელი უნდა გვიღებდე სახლის კარებს.

სიყვარულით შვილები, შვილიშვილები და შვილთაშვილები



# პიანისტთა მუსიკალური ფესტივალი ბორჯომში

**თენგიზ ამირეჯიბის** სახელობის პიანისტთა საერთაშორისო კონკურსი ღვაწლმოსილი ქართველი პიანისტისა და პედაგოგის, თენგიზ ამირეჯიბის საპატივსაცემოდ დაარსდა. ბატონი თენგიზის აღზრდილები, თამარ ლიჩელის თაოსნობით ჩაუდგნენ სათავეში ამ მეტად სანაქებო საქმეს. 2017 წელს კონკურსს საერთაშორისო სტატუსი მიენიჭა. კონკურსის მიზანი კლასიკური მუსიკით ახალგაზრდების დაინტერესება და მათი საშემსრულებლო დონის ამაღლებაა. უკვე ბევრი წელია, რაც ბორჯომი მასპინძლობს ამ საოცარ პიანისტებს.



კონკურსი 21-24 ოქტომბერს, ბორჯომის მერიის ფინანსური მხარდაჭერით ამჯერად სასტუმრო „ბორჯომი- ლიკანში" ჩატარდა. პირველ დღეს - ოფიციალური გახსნა ქალბატონმა თამარ ლიჩელმა იტვირთა და დამსწრე საზოგადოება აღაფრთოვანა შესრულებული მელოდიებით. მასთან ერთად ვიოლენჩელოს ამომავალი ვარსკვლავი, უნიჭიერესი ლიზა რამიშვილი წარსდგა მაყურებლის წინაშე, რომლის ემოციურმა, მაღალი ოსტატობით შესრულებულმა ჰანგებმა, სრულიად მუსიკალური შოკი მოგვგვარა. კონკურსი 4 ასაკობრივ კატეგორიაში გაიმართა. გამოვლინდნენ და დაჯილდოვდნენ ოთხივე კატეგორიაში წარმატებული მუსიკოსები. ფესტივალის პირველ და მეორე ასაკობრივ კატეგორიაში, ბორჯომის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის სამუსიკო სკოლის აღსაზრდელები წარმატებით წარსდგნენ. პატარა პიანისტებმა საპრიზო ადგილები დაიმსახურეს. **მეორე ადგილი - ბარბარე მაჩაიძემ, ხოლო მესამე ადგილი - ლიზი ხაჩიძემ მოიპოვა.** კონკურსის მონაწილეები როგორც ქართველმა, ისე იტალიიდან ჩამოსულმა კომპეტენტურმა ჟიურიმ შეაფასა. კონცერტების ციკლში მონაწილეობა მიიღეს ცნობილმა მუსიკოსმა **გიგი (ჭიპაშვილმა) პიანომენმა.**

ფესტივალის სულისჩამდგმელმა, თამარ ლიჩელმა განაცხადა: - წელს კვლავ ბორჯომს ვსტუმრობთ ძალიან სოლიდური პროგრამით. ვფიქრობ, უნიჭიერესმა თაობამ დაუკრა ამ სამი დღის განმავლობაში და შეირჩა საუკეთესოები. სრულიად აღფრთოვანებულები და კმაყოფილნი ვართ მასპინძელი სასტუმროს ხელმძღვანელობისადმი. მადლობა ბორჯომის მუნიციპალიტეტს მხარდაჭერისთვის და მუსიკის მრავალრიცხოვანი მოყვარულის დასწრებისთვის.

**ლორენცო დი ბელამ**, ჟიური იტალიიდან: მოხიბლული ვარ, იმდენად მაღალი დონის მუსიკოსები მოვისმინე. ეს არ შეიძლება მივიწყებას მიეცეს, მათ დიდი ხელშეწყობა სჭირდებათ შემდეგი დიდი წარმატებებისთვის. აღვნიშნავ ამ დიდი ფესტივალის მშვენიერ ორგანიზატორს - თამარს, რომლის დამსახურებაა პატარა პიანისტების გზის გაკვალვა. მადლობა ბორჯომს თბილი მასპინძლობისთვის, საოცარი ბუნება გაქვთ.

**მონიკა ჭანტურია**

# მზადება თბილი ზამთრისათვის გრძელდება

**მათ,** მათ, ვისი ოჯახის წევრიც პატარა ბავშვია, ან მოხუცებული, კარგად ნაცნობი თემაა თუ რამდენად სითბოს მოყვარულები არიან თვითონ ყველაზე თბილი და უსაყვარლესი ადამიანები.

ბორჯომის მუნიციპალიტეტის რამდენიმე სოფლის (ჭობისხევი, დვირი, ქვაბისხევი, საკირე, ტაძრისი, დგვარი, ჩითახევი, ლარები) ოჯახებს მთელი წლის სითბოსათვის და კერძის მოსამზადებლად იყენებენ საშეშე მერქანს. მოქალაქეების სოციალური მდგომარეობის შესაბამისად და როგორც კვლევები ნათელს ხდის მარტივად, რომ ვთქვათ ადამიანს პირველ რიგში არ უნდა ციოდეს და არ უნდა შიოდეს. ეს ორი სოციალური მოთხოვნაა პირველ ადგილზე.



და ერთ-ერთი სამწუხარო საკითხია, როდესაც გაზაფხულზე ოჯახების უმრავლესობას წლების წინ დამონტაჟებული გაზის წყლის გამათბობლების გამოცვლა დაევალათ, რადგან აღნიშნული მოწყობილობა სიცოცხლისათვის საფრთხის შემცველია, მაგრამ უმრავლესობა ისევ მას იყენებს, არ აქვთ გაძვირებული გამათბობლების შეძენის შესაძლებლობა რომლის საწყისი ფასი 750 ლარია.

ბორჯომის ქუჩებში გამოკითხვისას არაერთმა მოქალაქემ აღნიშნა, რომ საშეშე მერქანს ცენტრალური გათბობის დამონტაჟება არჩია, თუმცა ზამთრის პერიოდში კომუნალურმა გადასახადმა მოლოდინს გადააჭარბა (თვეში მინიმუმ 200 ლარი), მაშინ როდესაც მინიმალურ ზღვარს აჩვენებს გამათბობლის ხარჯი და სახლში სითბო ნაკლებადაა.

ვინც საშეშე მერქანით თბება, უმრავლესობა საუბრისას ამბობდა, რომ მათი საუკეთესო არჩევანი არ არის შეშით გათბობა, ტყიდან შეშის მოტანა გარკვეულ სირთულეებს უკავშირდება და ამ შემთხვევაშიც სოლიდური თანხის გადახდა უწევთ, რადგან ტყეში ხის ჭრა თავისებურ მუშაობასა და ცოდნას მოითხოვს.

- შეშა უკვე მოვიტანეთ, მაგრამ ვიცი, რომ ზამთრიდან ზამთრამდე საკმარისი რაოდენობის არ არის, მოგვიანებით მოგვიწევს ისევ შევიძინოთ, ან აქვე ეზოში გახმარი ხეხილი მოვჭრათ. ვფიქრობდი გაზის ღუმელი შემეძინა, მაგრამ ვერ შევძლებ გადახდას, ამიტომ თავი შევიკავე ისევ. ჩვენს მხარეში სიცივეები ყოველთვის ადრე იწყება და გვიანობამდე გრძელდება. წელიწადში 3 თვის გარდა სულ გათბობა გვჭირდება, - გვითხრა საუბრისას ანიკო ჩადუნელმა.

ქალბატონი ნინო ამბობს, რომ წლებია შეშის ღუმელზე უარი თქვა და არჩევანი გაზის გამათბობელზე შეაჩერა. ზამთარს ერთ პატარა ოთახში ატარებს და ყოველთვის დაბალ ნიშნულზე რთავს გამათბობელს. თვეში 50 ან მაქსიმუმ 100 ლარს იხდის. ასე ეკონომიურად ცდილობს გაატაროს ცივი დღეები და დაელოდოს ისევ გაზაფხულს, უკეთესის მოლოდინით.

წლებია შეშით თბება მეზობლის ქალბატონი, რომელთანაც შეშა დაკოტრილი მოაქვთ, მაგრამ შემდეგ მისი დაპობა კიდევ სხვა ენერგიასა და ხარჯს მოითხოვს, ღუმელს ეტაპობრივად გაწმენდა სჭირდება და ა.შ. მუდმივად ესაჭიროება დახმარება. ტყიდან შეშის მოტანა და ამ გზით გათბობა სულაც არაა მარტივი, განსაკუთრებით ქალბატონებისათვის, რომლებსაც ოჯახში მამაკაცი არ ჰყავთ.

- გაზის ტარიფის მატებაზე საუბრობენ და აღარ დავამონტაჟე გამათბობელი ღუმელი, როდემდე შევძლებ სხვებს ვეხვეწო შეშის მოტანა, დაჩეხვა არ შემიძლია, რომ ეტყვი, თანხას გადაგიხდით და დამიპეო. ეცოტავებათ. ამ მიზეზების გამო, არ მიყვარს ზამთრის სუსხიანი და ბნელი ღამეები. თოვლის ფანტელები მაშინ გახარებს, როდესაც სახლში სითბო და კომფორტია, - გვითხრა ნონა ბებომ და გვარის თქმა არ ისურვა.

არა მარტო ნონა ბებოს და ჩვენს რესპონდენტებს ვუსურვებ ზამთრის თბილ და კომფორტულ დღეების გატარებას მათთვის საოცნებო გარემოში, ვისაც ამის სურვილი აქვს და შესაბამისად შრომობს კიდეც. როგორც ლენა ბებო იტყოდა, ლუკმასაც დაღეჭვა უნდაო, ზამთრის თბილ და კომფორტულ გარემოს კი ბევრი შრომა და ფინანსები ესაჭიროება. არსებითი მნიშვნელობა არ აქვს სარგებლობთ საშეშე მერქნით, იყენებთ ცენტრალურ გათბობასა თუ გაზის გამათბობლებს.

**იზა იანვარაშვილი**

პოეზიის კუთხე

# გმადლობ შენ უფალო!

მადლობა უფალო, რათა გამაჩინე,
მადლობა წარწყმედას, რომ გადამარჩინე,
გმადლობ, რომ ტანჯვისთვის მე არ გამიმეტე,
გმოძღვრავდი, მაძლევდი ცხოვნების იმედებს.
გმადლობ დიდებულო, რომ ჩემი გულისთვის,
შეისხი ხორცი, რათა მე დამემგვანო,
მითხარი, რომ უნდა ვიზრუნო სულისთვის,
ხორცზე ვიბატონო, ღორს რომ არ ვემგვანო.
და კაცთა მზაკვრობით დაცლილი ნდობისგან,
ჯვარზე გაეკარი, ცოდვები შემსჭვალე,
გაგვანთავისუფლე მისი მონობისგან,
ხსნის გზა დაგვანახე, ცხოვრება შეცვალე.
რომ გადამარჩინე, ეშმაკის ამ ბადეს,
და კიდევ გმადლობ, რომ ქართველად დამბადე,
სადაც ქრისტესათვის სიკვდილსაც ნატრობენ,
და მის სიყვარულში ერთმანეთს ამკობენ,
ამას ვინ შეძლებდა შენს გარდა ძლიერი,
მიყვარხარ, მინდა ვთქვა მეც სამაგიერო,
მიიღე ეს ძღვენი კეთილო მამაო,
რომ ჩემი ცხოვრება არ იყოს ამაო.

ოლიკო ლომიძე.

# ახალდაბელი ახალგაზრდები სტუმრად პარლამენტში

**ფონდი „ტასო"-ს ფინანსური მხარდაჭერით სამოქალაქო აქტივიზმის გენდერმედიაცენტრის ახალგაზრდები, ახალდაბის საჯარო სკოლის უფროსკლასელები საქართველოს პარლამენტში იურისტს, ქალ-პოლიტიკოსს ქალბატონ ანა ნაცვლიშვილის მარო მაყაშვილის სახელობის საკონფერენციო დარბაზში შეხვდნენ.**



ქალბატონმა ანამ, დღეს საზოგადოებაში ქალებისადმი დამკვიდრებულ მოსაზრებებზე ისაუბრა. კანონმდებლობასთან დაკავშირებულ საკითხებსაც შეეხო, მან ასევე აღნიშნა და ხაზი გაუსვა არაფორმალური განათლების მნიშვნელობაზე. ახალგაზრდების დასმულ ყველა შეკითხვას ამომწურავად უპასუხა და მათ წარმატებები უსურვა. საუბრისას აღნიშნა, თუ რამდენად რთულია ქალისთვის, იყო დედა, მეუღლე და პოლიტიკოსი.

**„სამოქალაქო საზოგადოებისა და მედიის განვითარების ინსტიტუტი"**-ს (CSMDI) დირექტორმა, პროექტის ხელმძღვანელმა **ნატო გუბელაძემ** ქალბატონ **ანა ნაცვლიშვილთან** ერთად საზეიმო ვითარებაში მონაწილეებს სერთიფიკატები გადასცა. მან მადლობა გადაუხადა დამსწრე საზოგადოებას ახალდაბის გენდერმედიაცენტრის მიერ დაგეგმილ ტრენინგებსა და შეხვედრებში წარმატებული მონაწილეობისათვის, შეხვედრის თემები მოიცავდა ადგილობრივი **თვითმმართველობის საკითხებს, სამოქალაქო აქტივიზმის, გენდერისა და ლიდერობასთან დაკავშირებულ არა ერთ მნიშვნელოვან საკითხს.**

მადლობის სერთიფიკატი გადაეცა ახალდაბის საჯარო სკოლის დირექტორს **მარინა ლომიძეს**, ამავე სკოლის ინგლისური ენის პედაგოგს **თამუნა დემეტრაშვილს** და გაზეთი **„ბორჯომი"**-ს ჟურნალისტს **იზა იანვარაშვილს** აქტიური თანამშრომლობისა და მხარდაჭერისათვის.

დღემ სასიამოვნო და მრავალფეროვნი ემოციებით ჩაიარა საქართველოს ეროვნული მუზეუმში სტუმრობისას, სადაც არაერთი ისტორიული მნიშვნელობის ექსპონატის ნახვა გახდა შესაძლებელი, წიგნის ფურცლებიდან გაცოცხლებული ვერსიით. გიდმა საინტერესო მეგზურობა გაგვიწია. მონაწილეებმა ემოციებით დატოვეს პარლამენტი და თავიანთი შთაბეჭდილებებიც გაგვიზიარეს.

**ნუცა ჩადუნელი, ახალდაბის საჯარო სკოლის მოსწავლე:** - ქალბატონ ანა ნაცვლიშვილთან გვქონდა ძალიან საინტერესო და სასიამოვნო შეხვედრა. მადლობა, რომ მან კიდევ უფრო საინტერესო გახადა ეს დღე საკუთარი გამოცდილების გაზიარებით. გვიამბო, თუ როგორი რთული იყო მისთვის გამხდარიყო ქალი პარლამენტარი.

**ნანუკა გოგოლაძე, ახალდაბის საჯარო სკოლის მოსწავლე:** - ამაღელვებელი განწყობით დასრულდა შეხვედრა საქართველოს პარლამენტში. დავრწმუნდი, რომ ქალს შეუძლია გააკეთოს ის, რაც მთელი გულით სურს და მას აქვს ძალა შექმნას რაღაც სხვა, განსაკუთრებული.

**ელენე ჩადუნელი, „სამოქალაქო აქტივიზმის გენდერმედიაცენტრი"-ს** წევრი: -25 ოქტომბერი არასდროს დამავიწყდება.ეს იყო ძალიან კარგი გამოცდილება. ჩვენ დავათვალიერეთ საქართველოს ეროვნული მუზეუმი და საქართველოს პარლამენტი, ასევე შევხვდით ქალბატონ ანა ნაცვლიშვილს, რომელიც ბევრ საინტერესო საკითხზე გვესაუბრა. მე ძალიან გახარებული ვარ ამით.

**იზა იანვარაშვილი**

**ბორჯომის საზოგადოებრივი აზრის დარბაზის გამგეობა ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ბორჯომზე და ბორჯომელებზე უსაზღვროდ შეყვარებული პიროვნება**
**მერი ბლუაშვილი**
**და სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის ახლობლებს.**

**გაზეთ „ბორჯომის" რედაქციის თანამშრომლები თანაუგრძნობენ უშანგი ჯანგირაშვილს და მარინა ბლუაშვილს ოჯახის წევრის**
**მერი ბლუაშვილის**
**გარდაცვალების გამო..**

გაზეთი რეგისტრირებულია ბორჯომის სასამართლოს მიერ 1997 წელს, რეგისტრაციის №24.04.59
გაზეთის დამფუძნებელია რედაქციის კოლექტივი. რედაქციამ შეიძლება გამოაქვეყნოს ისეთი წერილები, რომელთა ავტორების თვალსაზრისს თვითონ არ იზიარებდეს.
მისამართი: ბორჯომი, ფალიაშვილის ქუჩა. №2. ტელ: 22-29-65. იბეჭდება შპს გამომცემლობა „საარში". ქ.თბილისი, თევდორე მღვდლის ქ.№57
e-mail: borjomi@inbox.ru რედაქტორი: ვალერიან ლომიძე